საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე
არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი
ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.12.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №100/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. გ.-ის მიმართ /სიითი№..../ სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. გ.-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 13 დეკემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ა. გ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2018 წლის 05 თებერვალს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გ. მ.-მ წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან 2016 წლის ნოემბერში მიმართა განცხადებით პოლიციას სადაო მიწის ნაკვეთის თაობაზე, რომელმაც სასამართლოს გზით დავის მოგვარება ურჩია. იუსტიციის სახლში ყოფნისას, გ. მ.-ს საკუთარი ინიციატივით გაეცნო ადვოკატი ა. გ. და შეუთანხმდა იურიდიული მომსახურების გაწევაზე, რაც ეხებოდა მიწის ნაკვეთის თაობაზე

დავას. ადვოკატმა საჩივრის ავტორს უთხრა, რომ მისი სარჩელი სასამართლოს რომ მიეღო წარმოებააში მისთვის უნდა გადაეხადა დავის საგნის 3%. საჩივრის ავტორმა ადვოკატის სახელზე გააფორმა მინდობილობა.

1.3 გ. მ.-მ ადვოკატს გადასცა 900 ლარი, 3 თვის შემდეგ 250 ლარი. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი მას თავდაპირველად აწვდიდა ინფორმაციას მის მიერ განხორციელებული იურდიული მოქმედებების შესახებ, კერძოდ, საჩივრის ავტორმა იცის, რომ ადვოკატმა სასამართლოს მიმართა სარჩელით, მაგრამ 2017 წლის 13 ნოემბრის განჩინებით სასამართლომ უარი თქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ გ. მ.-ს სასამართლოში წარსადგენი სარჩელი არასწორი ინფორმაციით ჰქონდა შედგენილი, კერძოდ, ადვოკატს მასში ეწერა, რომ გ. მ. არის პენსიონერი და გადახდისუუნარო, სარჩელში არ იყო აღწერილი რა იყო გ. მ.-ის მოთხოვნა. ადვოკატმა შეწყვიტა საჩივრის ავტორთან კავშირი და მიუხედავად მისი მცდელობისა, იგი ვეღარ უკავშირდება ადვოკატს ტელეფონის მეშვეობით და არც თავად ადვოკატი ეხმიანება.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მეორედ აღარ მიმართა სასამართლოს სარჩელით, როგორც მისმა წარმომადგენელმა და არც მისგან მიღებულ თანხას - 1150 ლარს უბრუნებს მას. გ. მ.-ის განმარტებით, ის ვერ ერკვევა ადვოკატის სპეციალიზაციის საკითხში და ამის თაობაზე არც ადვოკატისგან მიუღია ინფორმაცია, ადვოკატმა უთხრა, რომ „საქმეს გაუკეთებდა“ და როგორც ვარაუდობს, მისი საქმე სამოქალაქო მიმართულებით უნდა ეწარმოებინა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ეთიკის კომისიის აპარატის მიერ 2018 წლის 22 იანვარს ადვოკატ ა. გ.-ს ტელეფონის მეშვეობით ეცნობა, რომ მის მიმართ 2017 წლის 13 დეკემბერს ეთიკის კომისიას მომართა საჩივრით გ. მ.-მ, რის თაობაზეც ადვოკატმა განაცხადა, რომ თავად ჩაიბარებდა ხელზე საჩივარს, თუმცა არ გამოცხადდა. 2018 წლის 30 იანვარს ადვოკატს გაეგზავნა საჩივრის ასლი საფოსტო და ელექტრონული გზავნილების მეშვეობით. 2018 წლის 07 თებერვალს ადვოკატს გაეგზავნა შეტყობინება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით საპროცესო კოლეგიის მიერ მასთან გასაუბრების მიზნით ჩანიშნული სხდომის თაობაზე. ადვოკატი ა. გ. არ გამოცხადდა 2018 წლის 09 თებერვალს დანიშნულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე.

2.2 ადვოკატს 2018 წლის 19 ივლისს გაეგზავნა მის მიერ ადვოკატთა ასოციაციისთვის მიწოდებულ საცხოვრებელ მისამართზე საპროცესო კოლეგიის მიერ 2018 წლის 15 მაისს მიღებული გადაწყვეტილება, თუმცა გზავნილი ადრესატს არ ჩაბარდა მისამართზე არყოფნის გამო. ადვოკატს იმავე მისამართზე და ელექტრონულ ფოსტაზე 2018 წლის 23 ივლისს განმეორებით გაეგზავნა გადაწყვეტილება და ეცნობა, რომ ასოციაციისთვის მის მიერ მიწოდებულ საკონტაქტო ნომრებზე დაკავშირება ვერ ხერხდებოდა, რადგან ნომრები გამორთული იყო და კომისიისთვის ადვოკატს მიეწოდებინა მისი ფაქტობრივი მისამართი და საკონტაქტო ნომერი. 2018 წლის 24 ივლისს ადვოკატმა ა. გ.-მა დაადასტურა ეთიკის კომისიის აპარატის მიერ ზემოაღნიშნული ელექტრონული ფოსტის მიღება და ითხოვა საპროცესო კოლეგიის მიერ მის

მიმართ მიღებული გადაწყვეტილების მის ელექტრონულ ფოსტაზე დასკანერებული სახით გადაგზავნა. 2018 წლის 25 ივლისს ადვოკატს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაეგზავნა საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

2.3 ადვოკატ ა. გ.-ს 2018 წლის 07 დეკემბერს ელექტრონული ფოსტისა და საფოსტო გზავნილის მეშვეობით გაეგზავნა შეტყობინება მხარეებთან გასაუბრების მიზნით, 2018 წლის 17 დეკემბერს განხილვის კოლეგიის სხდომის ჩანიშვნის თაობაზე, თუმცა ადვოკატი აღნიშნულ სხდომაზე არ გამოცხადებულა.

2.4 ადვოკატს 2018 წლის 18 დეკემბერს გაეგზავნა ელექტრონული ფოსტით და საფოსტო გზავნილით საცხოვრებელ მისამართზე შეტყობინება 2018 წლის 24 დეკემბერს მხარეებთან გასაუბრების მიზნით, განმეორებით სხდომის ჩანიშვნის თაობაზე, თუმცა ადვოკატი არ გამოცხადებულა აღნიშნულ სხდომაზე.

2.5 ადვოკატს საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე არ წარმოუდგენია წერილობითი ან ზეპირი ფორმით პოზიცია საჩივართან დაკავშირებით.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1. 2018 წლის 15 მაისს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა. გ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ შესაძლოა, ადვოკატს სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით უნდა გაეწია საადვოკატო მომსახურება საჩივრის ავტორისთვის, თუმცა შეთანხმების მიუხედავად, არ გაუწია კვალიფიციური მომსახურება და საჩივრის ავტორს არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის თაობაზე. კერძოდ, ადვოკატმა ა. გ.-მა შესაძლოა არ განუმარტა გ. მ.-ს, რომ ის როგორც ადვოკატის სტატუსის მქონე პირი ვერ განახორციელებდა საადვოკატო მომსახურებას სამოქალაქო საქმეზე, მათ შორის ვერ გაუწევდა ყველა ინსტანციაში წარმომადგენლობას, როგორც ეს მის სახელზე გაცემულ მინდობილობაშია აღნიშნული და ამავე მინდობილობის მეშვეობით ადვოკატმა მიმართა სასამართლოს.

3.3. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ სარჩელის იმ ფორმით წარდგენა რა ფორმითაც მან სასამართლოში შეიტანა, არ წარმოადგენდა იმ იურიდიულ მოქმედებას იმ დავის გადასაჭრელად, რომლისთვისაც საჩივრის ავტორმა მიმართა ადვოკატს, ანდო მისი საქმის წარმოება და შესაბამისად, აღნიშნული მომსახურების გაწევით ვერ იქნა დაყენებული საჩივრის ავტორის მოთხოვნა.

3.4. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ შესაძლოა, საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ა. გ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების საზღაურის სახით მიღებული თანხიდან არ გამოქვითა მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურებისათვის ექვივალენტური სავარაუდო თანხა და ჰონორარის დარჩენილი ნაწილი არ დაუბრუნა კლიენტს.

3.5. საპროცესო კოლეგიამ ადვოკატ ა. გ.-ის ქმედებაში აღმოაჩინა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის, მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილების და „ადვოკატთა შესახებ“

საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის; მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაძლო დარღვევის ნიშნები და მიიჩნია, რომ ადვოკატ ა. გ.-ის მიმართ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 ადვოკატს არ წარმოუდგენია პოზიცია საჩივარში აღნიშნულ რომელიმე ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით, რომელსაც დაეთანხმებოდა ან სადაოდ გახდიდა.

4.2 განმცხადებელმა მიუთითა ფაქტებზე და წარმოადგინა მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო ადვოკატს არათუ საპირისპირო მტკიცებულებები არ წარმოუდგენია, საერთოდ არ შეედავა მათ. შედეგად, ეთიკის კომისია ადგენს, რომ დისციპლინურ პროცესში არსებული მტკიცების სტანდარტი დაკმაყოფილებულია და დგინდება განმცხადებლის მიერ მითითებული შემდეგი ფაქტები:

4.3 გ. მ. და ადვოკატი ა. გ. 2017 წლის ნოემბრის თვეში შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურების მიღების თაობაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *საჩივრის ავტორის მიერ ზეპირი და წერილობითი ფორმით წარმოდგენილი ახსნა-განმარტება;*
2. *გ. მ.-ის მიერ ადვოკატ ა. გ.-ის სახელზე 2017 წლის 02 ნოემბერს გაფორმებული მინდობილობა (ს.ფ. 30);*

4.4 ადვოკატი ა. გ.-მა, როგორც გ. მ.-ის წარმომადგენელმა 2017 წლის 08 ნოემბერს წარადგინა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში, რაც ეხებოდა გ. მ.-ის მიერ სადაო მიწის ნაკვეთის მიღების საკითხს და მოპასუხისათვის თანხის დაკისრებას.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *საჩივრის ავტორის მიერ ზეპირი და წერილობითი ფორმით წარმოდგენილი ახსნა-განმარტება;*
2. *2017 წლის 08 ნოემბერს ადვოკატ ა. გ.-ის, როგორც გ. მ.-ის წარმომადგენლის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილი სამოქალაქო სარჩელი.(ს.ფ. 18)*

4.5 თბილისის საქალაქო სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში ადვოკატ ა. გ.-ის, როგორც გ. მ.-ის წარმომადგენლის მიერ წარდგენილი სარჩელი.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. *საჩივრის ავტორის მიერ ზეპირი და წერილობითი ფორმით წარმოდგენილი ახსნა-განმარტება;*

2. 2017 წლის 13 ნოემბრის თბილისი საქალაქო სასამართლოს განჩინება გ. მ.-ის სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ. (ს.ფ. 35)

4.6 ადვოკატ ა. გ.-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ეცნობა მის მიერ გ. მ.-ის საქმეზე წარდგენილი სარჩელის სასამართლოს მიერ მიღებაზე უარი.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებას:
2017 წლის 13 ნოემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწისა და ა. გ.-ის გასაუბრების აქტი. (ს.ფ.33)

4.7 გ. მ.-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის მიერ ჩაბარდა 2017 წლის 13 ნოემბრის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებას:
2017 წლის 01 დეკემბრის ჩაბარების დასტური; (ს.ფ.41)

4.8 გ. მ. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვერ ახერხებდა ადვოკატთან დაკავშირებას, არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს

განხილვის კოლეგია ეყრდნობა საჩივრის ავტორის მიერ წერილობით და ზეპირი ფორმით წარმოდგენილ ახსნა-განმარტებას;

5 შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარის ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა. გ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6 სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ა. გ.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

‚ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა” პუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა … კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა.“

„ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რაც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი: „კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა.. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა“.

6.2 ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა წარმოიშობა მათ შორის ურთიერთშეთანხმებით. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.“ ეთიკის კოდექსით არ არის დადგენილი შეთანხმების ფორმის თაობაზე რაიმე შეზღუდვა. გარიგების ფორმა შესაძლებელია იყოს, როგორც ზეპირი ასევე წერილობითი, რის შემდგომაც ადვოკატს წარმოეშობა პროფესიული პასუხისმგებლობა დაიცვას ეთიკური ვალდებულებები, მათ შორის კეთილსინდისიერად განახორციელოს იურიდიული მოქმედებები, რისთვისაც მიმართავს მას კლიენტი. ადვოკატის მიერ მასზე მინდობილი საქმის სრულყოფილად და კეთილსინდისიერად წარმოება შეუძლებელია კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დაცვის გარეშე. ადვოკატმა დროულად უნდა მიაწოდოს სრული ინფორმაცია თავის კლიენტს, მათ შორის არ შეუზღუდოს მასთან დაკავშირების შესაძლებლობა, მით უმეტეს ხანგრძლივი დროით.

6.3 ეთიკის კომისიამ 2012 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №096/11, განმარტა, რომ ,,ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელება ემყარება ადვოკატსა და კლიენტს შორის ეფექტიან კომუნიკაციას, რაც ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას საქმის წარმოების პროცესში შეათანხმოს დაცვის სტრატეგია კლიენტთან, მუდმივად მიიღოს კლიენტისაგან დაცვის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია, გაითვალისწინოს კლიენტის რჩევები და ინტერესები.“(იხ. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე #096/11, 25.07.2012)

6.4 კლიენტის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად წარმომადგენლობასთან, ინფორმირების ვალდებულებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ნდობის პრინციპი. კლიენტი საქმის შედეგით დაინტერესებული პირია და მისთვის მნიშვნელოვანია ფლობდეს ადვოკატისათვის მინდობილი საქმის თაობაზე ინფორმაციას.

6.5 განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის პოზიცას და აღნიშნავს, რომ კლიენტისათვის კვალიფიციურად გაწეულ მომსახურებას უკავშირდება მის მიერ განხორციელებული საადვოკატო საქმიანობა იმ სპეციალიზაციით, რომლის მიხედვითაც მას აქვს უფლება განახორციელოს პროფესიული საქმიანობა. ამ შემთხვევაშიც, ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომელი მიმართულებითაა ის სპეციალიზებული. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტის

თანახმად, ,,ადვოკატს, რომელსაც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა, მოსამართლეთა, პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა სპეციალიზაციის მიხედვით, უფლება ეძლევა, საადვოკატო საქმიანობა შესაბამის დარგში განახორციელოს. საკონსტიტუციო სამართალწარმოებასა და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადვოკატად მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ადვოკატს".

6.6 განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ 2017 წლის ნოემბრის თვეში საჩივრის ავტორი და ადვოკატი ა. გ. ზეპირი ფორმით შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე. გ. მ.-მ გააფორმა მინდობილობა ადვოკატის სახელზე (2017 წლის 02 ნოემბრის მინდობილობა, ს.ფ.30). საჩივრის ავტორის პოზიციიდან ირკვევა, რომ ადვოკატი უნდა დახმარებოდა სამოქალაქო საქმის წარმოებაში, კერძოდ, სადავო მიწის ნაკვეთის დარეგისტრირებაში, თუმცა ადვოკატმა არასრულყოფილი სახით წარუდგინა სასამართლოს სარჩელი, მათ შორის მიუთითა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე, რის სარჩელში მითითების თაობაზე მას კლიენტის თანხმობა არ ჰქონია, რის შემდეგაც სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში სარჩელი.

6.7 ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატმა ა. გ.-მ, რომელიც არის სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე, იურიდიული მომსახურება, როგორც ადვოკატმა გასწია სამოქალაქო საქმეზე (სამოქალაქო სარჩელი - სფ. 18, 2017 წლის 13 ნოემბრის თბილისი საქალაქო სასამართლოს განჩინება - ს.ფ.35). თავისთავად, ადვოკატს აქვს იურიდიული უფლებამოსილება, განახორციელოს წარმომადგენლობა, მაგრამ ადვოკატის სტატუსი მას ავალდებულებს, როგორც ადვოკატმა გასწიოს საადვოკატო მომსახურება იმ სფეროში, რომლის სპეციალიზაცია (კვალიფიკაცია) მას გააჩნია. ადვოკატი ვალდებულია კონსულტაციის ეტაპის დაწყებამდე განუმარტოს პოტენციურ კლიენტს რომელი სპეციალიზაციით შეუძლია (ადვოკატის სტატუსით) განახორციელოს წარმომადგენლობა. ადვოკატის მიერ არასპეციალიზებული მიმართულებით იურიდიული მომსახურების გაწევა ვერ ჩაითვლება კვალიფიციურად.

6.8 გ. მ.-ის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი სარჩელი ეხებოდა გ. მ.-ის მიერ სადავო მიწის ნაკვეთის მიუღებლობის ფაქტს და სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა თანხის დაკისრება. კერძოდ, სარჩელიდან ირკვეოდა, რომ მოსარჩელე ითხოვდა მასსა და აწ გარდაცვლილ პირს შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრებას, მოპასუხე მხარედ კი მიუთითა გარდაცვლილის მეუღლე. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული სარჩელი არ აკმაყოფილებდა სარჩელის წარმოებაში მიღებისათვის საჭირო მოთხოვნებს და მიუთითა, რომ „მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები მისი მატერიალური მდგომარეობის შესახებ, კერძოდ, მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ არ გააჩნია სახელმწიფო ბაჟის გადახდის მატერიალური საშუალება... ასევე არ არის მითითებული ის მტკიცებულებები, რომლითაც მან უნდა დაამტკიცოს სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები... მოსარჩელეს დასაზუსტებელი ჰყავს მოპასუხეთა წრე და მოსარჩელის განმარტებაში მითითებული გარემოებები საჭიროებს დადასტურებას შესაბამისი მტკიცებულებებით, მათ შორის სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის ნაწილში" (2017 წლის 13 ნოემბრის თბილისი საქალაქო სასამართლოს განჩინება - ს.ფ.37).

6.9 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა აიღო პროფესიული პასუხისმგებლობა ეწარმოებინა საქმე კეთილსინდისიერად. საჩივრის ავტორმა ადვოკატს, სწორედ მისი პროფესიული უნარ-ჩვევების გამო მიმართა, რადგან ის დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა თავისი ინტერესების წარმოდგენას სრულყოფილად. ადვოკატი წარმოადგენს კვალიფიციურ პირს, რომელიც ფლობს იმ იურიდიულ უნარ-ჩვევებს, რაც საჭიროა საპროცესო დოკუმენტების შედგენისათვის, მათ შორის სასამართლოში სარჩელის წარმოებაში მიღებისათვის. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ თავისი კლიენტის საქმეზე წარდგენილი სარჩელი არ აკმაყოფილებდა მისი წარმოებაში მიღების მოთხოვნებს.

6.10 კოლეგია დადგენილად მიიჩნევს, რომ ადვოკატს არ ჰქონდა კლიენტთან (საჩივრის ავტორთან) სრულყოფილი კომუნიკაცია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და სასამართლოში წარსადგენ სარჩელში აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები არ იყო შეთანხმებული კლიენტთან და არ იყო მიმართული იმ დავის მოგვარებისკენ, რისთვისაც კლიენტმა ადვოკატს მიმართა. განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა კლიენტის საქმეზე კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულებისა და ინფორმირებულობის დარღვევის ფაქტი. აღნიშნულს სარწმუნოს ხდის ის გარემოებაც, რომ ადვოკატს საერთოდ არ განუხორციელებია რაიმე სახის შედავება საქმის განხილვის რომელიმე სტადიაზე და ის არც ეთიკის კომისიაში ჩატარებულ განხილვაზე ან გამოკითხვაზე გამოცხადებულა.

6.11 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ა. გ.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმა:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ... ფულადი სახსრები ... რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი".

6.12 ეთიკის კომისიამ 2018 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე 098/17 აღნიშნა, რომ „თუ ადვოკატი ბოლომდე ვერ ასრულებს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, იგი ვალდებულია, გაწეული მომსახურების და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით, კლიენტს დაუბრუნოს საადვოკატო ჰონორარის ნაწილი. ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა აღნიშნული გაანგარიშება უნდა იყოს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალიწინებული სრული მომსახურებიდან და ანაზღაურებიდან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციული. მხოლოდ ფორმალურად, ნებისმიერი თანხის ოდენობის დაბრუნება არ შეიძლება ჩაითვალოს პროპორციულ ოდენობად და შესაძლოა კვლავ იკვეთებოდეს პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის დარღვევა. ამდენად, მნიშვნელოვანია ადვოკატმა ზუსტად განსაზღვროს რა ოდენობა იქნება პროპორციული და რომელიმე მხარის მიერ სამართლებრივი მომსახურების

ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში დაუბრუნოს აღნიშნული თანხა კლიენტს სხვა ფულად სახსრებთან და საქმის მასალებთან ერთად.“ (იხ. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე #098/17, 28.01.2018)

6.13 მოცემულ შემთხვევაში, გ. მ. უთითებს, რომ ადვოკატ ა. გ.-ს გადასცა 900 ლარი და შემდგომ, დამატებით 250 ლარი, თუმცა მის მიერ წარმოდგენილი პოზიციიდან არ ირკვევა აღნიშნული თანხა ჰონორარის სახით გადასცა ადვოკატს, სხვა რაიმე ხარჯებისთვის იყო საჭირო, თუ სახელმწიფო ბაჟის გადახდას უნდა მოხმარებოდა, მათ შორის, საქმეში არ არის წარმოდგენილი გადახდის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი.

6.14 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 34-ე მუხლით განსაზღვრულია დისციპლინური სახდელების და ზემოქმედების ღონისძიებების სახეები. ეს სახდელებია: გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

6.15 განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატის მიმართ გამოსაყენებელი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრისას, მნიშვნელოვანია გამოსაყენებელი სანქციის შეფარდებისას გასათვალისწინებელი ზოგადი წესების დაცვა, რომელიც განაპირობებს სამართლიანი დისციპლინური სახდელის თუ ზემოქმედების ღონისძიების გამოყენებას, დაკისრებული პასუხისმგებლობა უნდა იყოს პირის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერი. ასევე, გასათვალისწინებელია შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების არსებობა.

6.16 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის პრაქტიკა და განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, რომელიც სასამართლომ გააკეთა გადაწყვეტილებების განხილვისას. შესაბამისად, კომისიამ გადაცდომასა და პასუხისმგებლობის ფორმას შორის ურთიერთშესაბამისად მიიჩნია ადვოკატ ა. გ.-ის მიმართ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

6.17 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 38-ე მუხლის თანახმად, ადვოკატისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შემთხვევაში, იგი უნდა შეიცავდეს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის მომავალში ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და იგი ადვოკატს ჩაბარდება პირადად.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,ა“ პუნქტით, ამავე კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ პუნქტით, მე-6 მუხლის

მე-2 პუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით; „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, 33-ე მუხლით, 35–ე მუხლით, 38–ე მუხლით, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №100/17 ადვოკატ ა. გ.-ის მიმართ /სიითი N..../ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება არ საჩივრდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/